



ია ფიფია

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

la PiPia

Agricultural University of Georgia

ია ფიფია - ასოცირებული პროფესორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მოლეკულური გენეტიკის ინსტიტუტის მკვლევარი, მუშაობს მცენარეთა გენომიკის სფეროში. მისი სამეცნიერო ინტერესები მოიცავს ქართული და მსოფლიო ვაზის გენეტიკური მრავალფეროვნების კვლევას, ქართული ვაზის როლისა და მნიშვნელობის დადგენას მსოფლიო მევენახეობის ისტორიაში. ი.ფიფია მიეკუთვნება ქართველი მეცნიერების იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელმაც განახორციელა სრულიად უნიკალური პროექტი - ქართული ვაზის ოთხი ჯიშის - ჩხავერის, საფერავის, მესხური მწვანესა და რქაწითელის გენომის სრული სეკვენირება. აღნიშნული კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, ქვეყნისთვის, რომელსაც მევენახეობისა და მეღვინეობის აკვნად

მიიჩნევენ. ი.ფიფიას გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო პუბლიკაცია, არის სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე (მათ შორის, როგორც მთავარი მომხსენებელი და ვორკშოპის მომხსენებელი). მუშაობდა აშშ-სა და ისრაელის წამყვან სამეცნიერო ლაბორატორიებში. გარდა სამეცნიერო საქმიანობისა, ი.ფიფია აქტიურადაა ჩართული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო პროცესში.

Dr. Ia Pipia, Associate Professor, researcher of Institute of Molecular Genetics of Georgian Agricultural University, works on the field of plant genomics. Her scientific interests are focused on the studying of genetic diversity and the role and importance of Georgian grapes in the world's history of viticulture by applying genome-based approaches. She belongs to the small group of Georgian scientist who carried out a unique project — whole genome sequencing of four Georgian grape varieties: Chkhaveri, Saperavi, Meskhuri mtsvane, and Rkatsiteli. This survey is especially important for Georgia, which is known as 'cradle of viticulture'. Dr. Pipia is an author of numbers scientific publications and participant of various international scientific conferences (including as keynote speaker and workshop speaker). She worked in leading scientific laboratories in the US and Israel. Besides she is involved in the teaching process, delivering lectures in genetics and is a supervisor of doctoral, master and bachelor theses.